

**ბანკის მიერ იურიდიული პირების
საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების
განხორციელების შემოწმება**

კონდრატ დიმიტრიშვილი

სტუ დოქტორანტი

იურიდიული პირების საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების შიდასაბანკო კონტროლი თავის თავში მოიცავს მოლარისა და კონტროლიორის ურთიერთკონტროლს მიმდინარე ოპერაციების განხორციელების პროცესში და საოპერაციო დღის დასრულებისას; ბუღალტრულ კონტროლს – საოპერაციოს შემდეგ დღეს; დამატებით კონტროლს მთავარი ბუღალტრის მხრიდან ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ; შემდგომი კონტროლი შიდასაბანკო კონტროლისა და აუდიტის სპეციალიზებული სამსახურის მხრიდან.

იურიდიული პირების საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების მდგომარეობის შემდგომი კონტროლი შიდასაბანკო კონტროლისა და აუდიტის სპეციალიზებული სამსახურის მხრიდან გვემხმარება საფუძველზე ხორციელდება ბანკის შესაბამისი ქვედანაყოფის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური შემოწმების შემადგენლობაში, აგრეთვე შემდგომი ორგანიზაციის დავალებით ან წლიური სამუშაო გეგმის შემადგენლობაში მუშაობის მოცემული მონაკვეთის თემატური შემოწმებისას.

იურიდიული პირების საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების მდგომარეობის თემატური შემოწმების პროგრამა მოიცავს კლიენტების მომსახურების საერთო მდგომარეობისა და ანგარიშსწორების გახსნის, წარმოებისა და დახურვის წესის დაცვის შემოწმების ანალიზს. პროგრამის რეალიზაცია ხორციელდება რისკების ყველა სახეობებზე შიდასაბანკო კონტროლის მდგომარეობის შეფასების კერძო მეთოდების, საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების განყოფილების მუშაობის ეფექტიანობისა და კლიენტები-იურიდიული პირების მომსახურების დადგენილი რეგლამენტების დაცვის საფუძველზე. პროგრამა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

კლიენტები-იურიდიული პირების ორგანიზაციულ დონეზე საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურების მდგომარეობის შემოწმება:

საგარეო რისკებზე შიდასაბანკო კონტროლის მდგომარეობის შესწავლა. საპროცენტო და სატარიფო პოლიტიკის ჩატარებისას კონკრეტ-

ული გარემოს ჩატარებადი მარკეტინგული კვლევების ეფექტიანობის შეფასება. მათი სისრულის, პერიოდულობის შესწავლა და შემუშავებადი რეკომენდაციების სარგებლიანობის დადგენა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით საჭიროა მარკეტინგული კვლევების მასალების გაანალიზება შემდეგი საკითხების მიხედვით:

- რეგიონში სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ფინანსური რესურსების ზრდის რეალური ტემპები (ზრდის ტემპი ინფლაციის გამოკლებით);
- მოზიდული სახსრების სეზონური მერყეობის ანალიზი (კლიენტების ანგარიშების მიხედვით ბრუნვებისა და ნაშთების ყველაზე დიდი და ყველაზე ნაკლები ზრდის პერიოდები);
- რეგიონში საქმიანი აქტიურობის ცვლილებების ანალიზი; ეკონომიკის ყველაზე პერსპექტიული დარგებისა და რაიონის საწარმოების მიერ გამოშვებადი კონკურენტუნარიანი პროდუქციის ძირითადი სახეობების გამოყოფა;
- რეგიონის საწარმოებისა და ფირმების შესახებ მათი ძირითადი მაჩვენებლების დინამიკაში ინფორმაციების შეგროვება და ანალიზი;
- ფინანსური მომსახურების ბაზარზე კონკურენტების შესახებ მათი ძირითადი მაჩვენებლების დინამიკაში ინფორმაციების შეგროვება და ანალიზი;
- პოტენციური კლიენტების მიერ შემოთავაზებული მომსახურების ბაზრის შედარებითი ანალიზი;
- ბანკებში არარსებული, მაგრამ კონკურენტების მიერ განხორციელებადი მომსახურებები;
- ბანკის მიერ შემოთავაზებული მომსახურებები, მაგრამ დაბალი კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე, არამოთხოვნადები;
- ბანკის მომსახურებები, რომლებიც მაღალ მოთხოვნადს წარმოადგენენ;
- იურიდიული პირების საანგარიშსწორებო-საღარიბო მომსახურეობასთან მიმართებაში მომსახურებაზე ტარიფების შედარებითი ანალიზი;
- ფინანსური მომსახურების ბაზარზე ბანკის ადგილი.

ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ბანკების ან სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ დადგენილი ტარიფები (საპროცენტო განაკვეთები), ბევრად განსაზღვრავენ ბანკის რეაქციას კონკურენტულ გარემოზე, საბანკო პროდუქტებზე ფასები პირდაპირ კავშირშია როგორც თვით ბანკის, ასევე მათი კონკურენტების მხრიდან მიწოდებული მომსახურებებისა და საიმედოობის ხარისხთან მიმართებაში

ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

ბანკის განყოფილების მიხედვით ბრძანებების წიგნის და ჩატარებული მარკეტინგული კვლევების ჯამური ანალიტიკური მოხსენებითი ბარათის შესწავლით საჭიროა შემდეგი ფორმის ცხრილი იქნას შევსებული:

მარკეტინგული სამსახურის რეკომენდაციები		ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები		მაჩვენებლის ცვლილების დინამიკა	
რეკომენ- დაციის მოკლე შინაარსი	მოხ- სენებითი ბარათის თარიღი	ბრძანების მოკლე შინაარსი	ბრ- ძანების თარიღი	მაჩვენებლის მნიშვნელობა ბრძანების გამოცემის თარიღისათვის	მაჩვენებლის მნიშვნელობა შემოწმების თარიღისათ- ვის

ეკონომიკურ-სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემების გაანალიზება მაჩვენებლების ყოველთვიურ დინამიკაში, იურიდიული პირების საანგ-არშსწორებო-საღარიბო მომსახურების განყოფილების მუშაობის ეფექ-ტიანობის შეფასება წინა კომპლექსური ან თემატიკური შემოწმების შემდგომ პერიოდში. აღნიშნული ოპერაციებიდან შემოსავლების სრუ-ლად და თავისდროულად შემოსულობების შემოწმება. მაჩვენებლების ცვლილებაზე ზემოქმედი მიზეზების გამოვლენა. აუდიტორის მიერ სა-მუშაო დოკუმენტაციის სახით გამოიყენება ცხრილი №1.:

ცხრილი №1.

**ხარჯები, დაკავშირებული საანგარიშსწორებო-საღარიბო
მომსახურების ოპერაციებთან**

მაჩვენებელი	მნიშვნელობა
ხარჯები საოპერაციო განყოფილების მოწყობილობებით, ინვესტირებით და საოპერაციო-საბანკო მასალებით უზრუნ- ველყოფაზე; სარეკლამო-საინფორმაციო ხარჯები	
ხარჯები ინკასაციაზე, სიგნალიზაციაზე, ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვით ღონისძიებებზე; საექსპლუატაციო ხარჯები	
ხარჯები განყოფილების აპარატის შენახვაზე	
პროცენტული ხარჯები კლიენტების ანგარიშების მიხედვით	

ოპერაციების რაოდენობა	
საკომისიოები და სხვა შემოსავლები კლიენტების ანგარიშების მიხედვით ოპერაციებიდან	
თვითღირებულება ერთი ოპერაციის	
საშუალოშეწონილი ღირებულება ერთი მომსახურების	
ფუნქციონირების რენტაბელურობა	
ბიზნეს-გეგმის დავალების შესრულების პროცენტი: კლიენტები-იურიდიული პირების მოზიდვასთან დაკავშირებით საანგარიშსწორებო-საღაროს მომსახურებაზე; მათ ანგარიშებზე საშუალოდღიური ნაშთების მიხედვით	

3. საანგარიშსწორებო-საღაროს ოპერაციების განხორციელებისას მონაცემების ელექტრონული დამუშავების, ავტომატიზირებული საბანკო სისტემის (ასს) გამოყენებით, ორგანიზაციის შემოწმება (ცხრილი №2.):

ცხრილი №2.

მონაცემების ელექტრონული დამუშავების პროცესების ხარისხის შეფასება

შემოწმების მიმართულებები	კი/არა
ავტომატიზირებული საბანკო სისტემების ექსპლოატაციაში შეყვანის შესახებ ბრძანების არსებობა	
ავტომატიზირებული საბანკო სისტემის ექსპლოატაციის შიდასაბანკო რეგლამენტის არსებობა	
მონაცემების შედარების პროცესის რეალიზება მათი ქვესისტემიდან გადატანის შემდეგ	
ავტომატიზირებულ საბანკო სისტემაში მონაცემების ავტომატური კონტროლის მეთოდების არსებობა	
მონაცემების საარქივო და სარეზერვო კოპირების წესის განსაზღვრულობა	
ავტომატიზირებული საბანკო სისტემების ხარისხობრივი ფუნქციონირების განახლებისა და მონაცემთა ბაზების აღდგენასთან მიმართებაში (ავარიის ან გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევებში) ღონისძიებების ჩატარების გეგმის არსებობა	

ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

კლიენტები-იურიდიული პირების ანგარიშების მომსახურების წესის დაცვის შემოწმება:

საჭიროა ოპერაციები იქნას შემოწმებული კლიენტების ანგარიშებზე სახსრების ჩარიცხვასთან დაკავშირებით:

ნამდვილი საბუთების მიხედვით უნდა დადგინდეს კლიენტების ანგარიშებზე სახსრების ჩარიცხვის კანონიერება და საფუძვლიანობა, აგრეთვე აღნიშნული ოპერაციების გაფორმების სისწორე;

კლიენტების ანგარიშებიდან სახსრების ჩამოწერასთან დაკავშირებით ოპერაციების შემოწმება:

უნდა დადგინდეს, განხორციელდა თუ არა ხარჯვითი ოპერაციები კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების არარსებობისას;

დადგინდეს რა თანხაზე იქნა სადებეტო ნაშთი განხორციელებული; გაანალიზებული იქნას კლიენტებისათვის არათავისდროულად ანგარიშსწორების ჩატარების შემთხვევები და მიზეზები.

აღბეჭდილი იქნას აუდიტ-ფაილი ბოლო შემოწმების თარიღიდან შემოწმების პერიოდის განმავლობაში. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად უნდა შეივსოს შესაბამისი ბალანსი

ცხრილი №3.

განყოფილების სპეციალისტების მიერ ჩატარებული რისკიანი ოპერაციების რეესტრი პერიოდის განმავლობაში (პერიოდის მითითება)

რისკიანი ოპერაციები	ოპერაციის თანხა	ოპერაციის თარიღი	პირადი ანგარიშის ნომერი	კონტროლიორი
კლიენტის პირადი ანგარიშის პარამეტრების ცვლილებები				
საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები				
ოპერაციის სტორნირება				
სხვა რისკიანი ქმედებები				

ყველა აღმოჩენილი რისკიანი ოპერაციის მიხედვით პირველადი საბუთების შემოწმება უნდა განხორციელდეს ქვემოთმოყვანილი ფორმის მიხედვით:

კლიენტის პირადი ანგარიშის ნომერი	შესწორების თარიღი	შესწორების ჯამური თანხა	შესწორების დასაბუთებულობა (კი/არა)